მ ე წ ა რ მ ე
ქ ა ლ თ ა
ფ ო ნ დ ი

WOMEN ENTREPRENEURS

Fund Of Women

Entrepreneurs

Tel : (0431) 27 29 02
Fax : (0431) 27 13 68

Address : 6 Mgaloblishvili, Kutaisi, Georgia
მის: ქუთაისი, მგალობლიშვილი №6

www.fwe.ge
E_mail : womenfund2003@gmaill.com
meri_gelashvili@yahoo.com

№ 02/32 13.12 2016

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კობახიძეს

მოგახსენებთ, რომ „მეწარმე ქალთა ფონდი“ იმერეთის რეგიონში მოქმედი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციაა. ორგანიზაციის ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, დევნილი და შეჭირვებული ქალები.

„მეწარმე ქალთა ფონმა“ შეიმუშავა საკანონმდებლო ინიციტივა, რომელიც ეხება მრავალშვილიანი დედებისათვის (რომელთაც ჰყავთ სამი და მეტი შვილი) საგადასახადო შეღავათების დაწესებას.

ინიციატივას საფუძვლად დაედო „ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა-ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც გამოქვეყნებულია 2016 წლის თებერვალში.

საკანონმდებლო ინიციატივა (4 გვერდი), თან ერთვის „მეწარმე ქალთა ფონდის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციები დასაქმებული ქალების რაოდენობის შესახებ;

- ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტო - 1 გვერდი;

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - 1 გვერდი

„მეწარმე ქალთა ფონდის“

თავმჯდომარე **მერი გელაშვილი**

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. № 1904
„13“ 12 2016 წ. ფურც. 7

ააიპ. „მეწარმე ქალთა ფონდის“

საკანონმდებლო ინიციატივა

„ოჯახების ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემის შემუშავება“ და მისი განხორციელება

<u>ინიციატივის მნიშვნელობა:</u>

წარმოდგენილ ინიციატივას საფუძვლად დაედო „ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა-ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც გამოქვეყნებულია 2016 წლის თებერვალში.

ამავე კვლევაში შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოში ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკისა და სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით საუკეთესო ევროპული პრაქტიკა. სწორედ ამ პრაქტიკის გათვალისწინებით და ევროკავშირის რიგი წევრი სახელმწიფოების (ავსტრია, ჩეხეთი, გერმანია, უნგრეთი, ლატვია, ნიდერლანდების სამეფო, ნორვეგია, საფრანგეთი) კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე ორი ძირითადი საგადასახადო შეღავათიდან: ა) ოჯახისათვის ბავშვის ყოლის გამო დაუბეგრავი შემოსავლის განსაზღვრის ოდენობის მინიჭების და ბ) ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის. ამ ორიდან პრიორიტეტი მივანიჭეთ ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებულ დაბეგვრის საგადასახადო შეღავათს ანუ მშობლების ერთობლივი შემოსავლის განსხვავებულ დაბეგვრის სისტემას.

საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობამ 2002 წლის მაჩვენებელთან შედარებით იკლო 14 , 7 %-ით (2002 წ. – 4371535 ად. 2014 წელს 3 729635 სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ 2014-2015 წლებში შობადობის მაჩვენებელი ხასიათდება დადებითი ტენდეციებით ექსპერტთა მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ უახლოეს პერიოდში მოსახლეობის შობადობის მაჩვენებელი გაუარესდება. ეს მოსაზრება გამყარებულია მათ მიერ, რომ 2017-2018 წლებში ქორწინებისა და რეპროდუქციის პოტენციალის ასაკში შევლენ 90-იან წლებში დაბადებული მოსახლეობა. ეს პერიოდი კი, როგორც ვიცით შიდა კონფლიქტების გამო დაბალი შობადობით ხასიათდებოდა.

გარდა ამისა, საქართველოს აღებული ევროინტეგრაციის კურსი, რომელიც გულისხმობს გენდერული თანასწორობის აუცილებლობის გათვალისწინებას ქვეყნის მართვის ყველა სფეროში. ეს კი უპირველეს ყოვლისა ქალებისათვის შესაძლებლობის უზრუნველყოფას ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან. ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დაუჭიროთ მხარი, საკანონმდებლო დონეზე, ქალთა პროფესიულ წინსვლას და მათ დასაქმებულობას მოტივაციის ამაღლებას.

საგადასახადო შეღავათის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბებული იქნება შემდეგ თავში, მისცემს შესაძლებლობას ქალებს (ვისაც ჰყავთ სამი და მეტი შვილი და მუშაობენ) გაამყარონ თავისი ეკონომიკური მდგომარეობა და მოტივაცია იყვნენ ეკონომიკურად დამოუკიდებლები.

<u>ინიციატივის აღწერა</u>

დღეს ევროკავშირის რიგ ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი), მიღებულია სახელმწიფოს მიერ საგადასახადო შეღავათების დაწესება ოჯახის ფინანსური მხარდაჭერისა და დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებების შესამსუბუქებლად, „ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემა.

ჩვენი წინადადების მიზანია: ქალის დასაქმების, მისი პროფესიული ზრდისა და მთლიანობაში ოჯახის ეკონომიკური მხარდაჭერისა „ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემის შემოღებით ქალებისათვის ვისაც ყავთ 3 და მეტი შვილი და ეწევიან შრომით საქმიანობას ან დასაქმებულები არიან სახელმწიფო უწყებებში, გაეზრდებათ შესაძლებლობა იყვნენ სრულფასოვანი მოქალაქეები, მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, იყვნენ ეკონომიკურად ძლიერი და დამოუკიდებლები.

„ოჯახის ერთობლივი შემოსავლების განსხვავებული დაბეგვრის წესი მდგომარეობს შემდეგში, რომ: საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისას შეღავათებით ისარგებლონ მრავალშვილიანმა დედებმა.

აღნიშნული ინიციატივის საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

ა) შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ა.ა) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;

ა.ბ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;

ა.გ) მარტოხელა დედის;

ა.დ) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ა.ე) პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;

ა.ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 50 პროცენტით უმცირდება;

ბ) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე.

ბ[1]) იმ პირის მიერ, რომელმაც „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო, კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი;

გ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა.

<u>დ) მრავალშვილიანი დედის (რომლის კამყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომლის ხელფასის სახით მიღებული წლიური შემოსავალი არ აღემატება 10 000 ლარს.</u>

<u>ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი დედის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომლის ხელფასის სახით მიღებული წლიური შემოსავალი არ აღემატება 15000 ლარს.</u>

<u>ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები დედის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) მიერ კალენდარული წლის</u>

<u>განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომლის ხელფასის სახით მიღებული წლიური შემოსავალი არ აღემატება 10000 ლარს.</u>

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ იცნობს მსგავსი სახის საგადასახადო შეღავათს. ჩვენი წინადადების მიზანია ქალის დასაქმების, მისი პროფესიული ზრდისა და მთლიანობაში ოჯახის ეკონომიკური მხარდაჭერისათვის სათანადო საგადასახადო შეღავათების შემოღება.

<u>ინიციატივის დასაბუთება</u>

ინიციატივის შემუშავების პერიოდში, ჩვენს მიერ იყო მცდელობა შეგვესწავლა რაოდენობა და მიღებული შემოსავლები, იმ ქალებისა, რომელთაც ჰყავთ სამი და მეტი შვილი, არიან დასაქმებულები და გადასახადის გადამხდელები. ასეთი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

<u>ინიცატივის მოსალოდნელი შედეგები:</u>

- ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო სისტემასთან მიახლოვება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროინეგრაციას;
- სამი და მეტი შვილიანი (დასაქმებული ქალების) ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- დასაქმებული ქალების (ვისაც ჰყავს 3 და მეტი შვილი) თვითშეფასება და ავტორიტეტის ამაღლება;
- ქვეყანაში შობადობა გაიზრდება მოხდება დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრა-გაუმჯობესება;
- ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით ხარჯების დაფარვაში მხარდაჭერით აღიზრდება ჯანსაღი თაობა;

საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური
საქსტატი

National Statistics
Office of Georgia
GEOSTAT

1555-8-2-201605161718

N 8-1555

16/05/2016

ა(ა)იპ „მეწარმე ქალთა ფონდი“
ს/ნ [redacted]

მის: [redacted]
ქალბატონ მერი გელაშვილს

ქალბატონო მერი,

თქვენი ა/წ 3 მაისის განცხადების საფუძველზე, დანართის სახით გიგზავნით 2013-2014 წლებში მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმება, უმუშევრობა, არააქტიურობა) მაჩვენებლებს გენდერულ ჭრილში.

აქვე გაცნობებთ, რომ მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებით 63350 კერძო შინამეურნეობას ყავს სამი და მეტი არასრულწლოვანი წევრი, ხოლო ინფორმაციას იმ ოჯახების რაოდენობის შესახებ, რომელთაც ყავთ სამი და მეტი არასრულწლოვანი შვილი, ასევე, ინფორმაციას დასაქმებული ქალების რაოდენობის შესახებ, რომელთაც ყავთ სამი და მეტი არასრულწლოვანი შვილი საქსტატი არ ფლობს.

დანართი: 1 ფაილი.

პატივისცემით,

მერი დაუშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, წ. ფორმანის 150 0180
ტელ: +995 32 236 72 10
ფაქსი: +995 32 236 72 13
ელ-ფოსტა: info@geostat.ge
www.geostat.ge

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH
AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030457559487216

საქართველო, თბილისი 0119, აკ წერეთლის გამზ. 144, ტელ.: (+995 32) 510 047, 510 048, 510 049

144 Ak. Tsereteli ave., 0159, Thilisi, Georgia, Tel. (+995 32) 510 047, 510 048, 510 049

№ 04/40164

24 / მაისი / 2016 წ.

ააიპ "შეწარმეთა ქალთა ფონდი"ს თავმჯდომარეს
ქალბატონ მერი გელაშვილს

მის:

ქალბატონო მერი,

თქვენი N48535 წერილის თანახმად რომელიც ეხება დასაქმებული მრავალშვილიანი დედების სტატისტიკური მონაცემების მოწოდების საკითხს, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ შემდეგს: შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებულია 25 453 სამუშაოს მაძიებელი (ქალი), აქედან უმუშევარი 0-6 თვე - 292, უმუშევარი 6-12 თვე - 959, უმუშევარი 12 თვეზე მეტი - 7 623, პირველად ეძებს სამუშაოს - 16 579.

პატივისცემით,

დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის,
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მარინა ბეზარაშვილი